

საჯარო სასამართლო განხილვა, როგორც სამართლიანი პროცესის
აუცილებელი პრინციპი

მარიამ მამდარაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის
სკოლის სისხლის სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების
მოთხოვნების შესაბამისად*

სისხლის სამართლის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ბადრი ნიპარიშვილი, სისხლის სამართლის მაგისტრი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2020

განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მარიამ მამლარაშვილი

2020 წელი

აბსტრაქტი

საქართველოს სისხლის სამართლის პროცესში საჯაროობას მნიშვნელოვანი როლი უკავია. საქართველოს კონსტიტუცია ნათლად მიუთითებს საჯაროობის მნიშვნელობაზე, ისევე როგორც საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი და სხვა ნორმატიული აქტები. საჯაროობა და ზეპირობა არა მხოლოდ ქართულ კანონმდებლობაში, არამედ საერთაშორისო სტანდარტებშიც სამართლიანი სასამართლოს აუცილებელი შემადგენელი ნაწილია. სხდომის საჯაროობა გულისხმობს, როგორც მოქალაქეების საჯარო სხდომაზე დასწრების შესაძლებლობას, ასევე მედიის მიერ პროცესების გაშუქებას. აღნიშნული რეგულაცია რამდენჯერმე შეიცვალა. მიუხედავად ამისა დღევანდელ რეალობაში კვლავ ვაწყდებით ნორმატიულ თუ პრაქტიკულ პრობლემებს. ნაშრომში განხილულია საჯაროობის მნიშვნელობა, მისი ისტორია, მასთან დაკავშირებული ადგილობრივი და საერთაშორისო რეგულაციები და სასამართლო პრაქტიკა. მიმოხილულია საქვეყნოობასთან დაკავშირებული ნორმატიული და პრაქტიკული პრობლემები. კვლევაში განხილულია როგორც პირველადი, ასევე მეორადი წყაროები, საერთაშორისო პრეცედენტები, სასამართლოს გადაწყვეტილებები, გახმაურებული საქმეების მედიის მიერ გაშუქებასთან დაკავშირებული გამოწვევები, მასობრივი ინფორმაციის გაშუქების საშუალებებთან დაკავშირებული რეგულაციები, მათი პრაქტიკაში გამოყენების მაგალითები და პრობლემები. ნაშრომი ასევე ეხება პანდემიის პერიოდში საქართველოსა და მის საზღვრებს გარეთ საჯაროობასთან მიმართებით შექმნილ დაბრკოლებებს.

ძირითადი საძიებო სიტყვები: სისხლის სამართალი, საჯარო განხილვა, საქვეყნოობა, სამართლიანი პროცესი.

Abstract

Publicity plays an important role in the criminal process of Georgia. The Constitution of Georgia clearly indicates the importance of publicity, as well as the Criminal Procedure Code of Georgia and other normative acts. Publicity and orality are an essential part of a fair trial not only in Georgian law but also in international standards. The publicity of the session implies both the opportunity for the citizens to attend the public session and the coverage of the processes by the media. This regulation has been amended several times. Nevertheless, in today's reality we still face normative and practical problems. The paper discusses the importance of publicity, its history, local and international regulations and case law. Normative and practical problems related to the court hearing publicity are discussed. The study discusses both primary and secondary sources, international practice, court decisions, challenges related to media coverage of high-profile cases, mass media coverage regulations, examples of their use in practice, and problems. Thesis also covers problems with publicity in Georgia and abroad during the pandemic.